ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი  ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №64

2014 წლის 3 ივნისი,
ქ. ბათუმი

**„რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. „რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგ-რამების განხორციელების წესის“ დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55-ე დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება. კერძოდ, მე–5 მუხლს $25^1$–ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$25^1$. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუ-დენტი ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ადმინისტრა-ციული რეგისტრაციის შემდეგ გადის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/მოდულების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას (აფორმებს სასწავლო ხელშეკრულებას ამ წესის დანართი 3-ის შესაბამისად), ხოლო დამატებითი სპეციალობის/არჩევითი კომპონენტის არჩევა განხორციელდეს სასწავლო წლის დასრულებამდე სამი კვირის ვადაში, ძირთად საგამოცდო პერიოდში. დარეგისტრი-რებული სასწავლო კურსების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს”.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**